



31 წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა ქეთევან მოისწრაფეშვილმა და ზაზა შოშიტაიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი და მათი

საფლავები ყვავილებით შეამკეს. სოხუმის დაცემის 31 წლისთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშა და ეშვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე.

ახალი ხალხი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 ყოველკვირეული გამოსვლა. № 15 (10478) 30 სექტემბერი, 2024 წ. შახი 1 ლარი.

მდინარე ბჟუჟის ხეობაში ოთხი ჰესის შენობის მშენებლობა თითქმის დასრულებულია



ალიონი. 26 სექტემბერს სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყო.

გზმ ექსპერტმა **ლევან ოზბეთელაშვილმა** შპს „პარკუს ბასრას“ მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) ექსპლუატაციის (სიმძლავრეების გაზრდა), 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის პროექტი წარმოადგინა.

ზღვრა გენერირებული ენერჯის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობიდან გამომდინარე, რაც ცალსახად დამოკიდებული იყო რეგიონში მაღალი ძაბვის ხაზის არსებობასთან. ხოლო, ვინაიდან, პროექტის დაგეგმვის და შემდგომი განვითარების ეტაპზე საკვლევე არეალთან ახლოს იდენტიფიცირებულ ერთადერთ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს წარმოადგენდა 35 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი „შემოქმედი“, საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად დაიგეგმა განხორციელება მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მოწყობა და წარმოებული ენერჯის საერთო ქსელში ჩართვის მიზნით 35 კვ ელექტრო გადამცემ ხაზ „შემოქმედთან“

–საწყის ეტაპზე „ბასრა ჰესის“ სიმძლავრეები განისა-

„ჩვენ, ჩვენს მიწა-წყალს ვიცავდით, გაბრამ უნდა გამოვნახოთ ერთმანეთთან სასაუბრო ენა და შეპრიბდეთ“



ალიონი. „ტერიტორიული კონფლიქტები, საქართველოს ძირძველი მიწების დროებითი ოკუპაცია, ასეულობით ათასი ადამიანის დევნილობა, საკუთარ სამშობლოში, აფხაზე-ბთან და ოსებთან ურთიერთობა – კვლავ რჩება ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების უმთავრეს გამოწვევად, რომელზეც პასუხიც მხოლოდ მშვიდობის განუხრელი დაცვით, ნდობის აღდგენით, ქვეყნის საერთო და საყოველთაო განხილვითაა შესაძლებელი“ – ეს სიტყვები საქართველოს **ირაკლი ღარიბაშვილს** ეკუთვნის.

საქართველოს მთავრობამ სამხედრო ძალები აფხაზეთში რეინტეგრაციის მაგისტრალის დაცვის მიზნით 1992 წლის 14 აგვისტოს გაგზავნა, რომელიც შემდეგ შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

აფხაზეთის ომი 13 თვე მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, საქართველოს ჯარებსა, ხოლო მეორე მხრივ აფხაზ სერპარატისტებსა, რუს სამხედრო შენაერთებსა და ჩრდილოეთ-კავკასიელ ბოვეიკებს შორის. ომი ხასიათდებოდა ადამიანის უფლებების სერიოზული და ფართოდ გავრცელებული დარღვევებითა და სისასტიკით, ძირითადად, საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ICRC-ს შეფასებით კონფლიქტის შედეგად დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა დაახლოებით 10-15 ათასი



ადამიანი (თუმცა შეფასებები განსხვავდება და აღწევს 30 ათასს), ეთნიკური წმენდის შედეგად. 250 ათასზე მეტი ქართველი გაძევებულ იქნა აფხაზეთიდან ომის შედეგად და სოხუმის დაცემის შემდეგ, რომელიც სეპარატისტულმა ძალებმა 1993 წლის 27 სექტემბერს რუსული ჯარების დახმარებით აიღეს, საქართველომ დაკარგა კონტროლი რეგიონზე. 2008 წელს რუსეთმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთს საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

27 სექტემბერს, ქ. ოზურგეთში, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ობელისკთან, საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას საფლავთან შეიკრიბნენ ომის ვეტერანები, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. მათ ყვავილების გვირგვინებით შეამკეს მემორიალები.

გაზეთი „ალიონი“ რამდენიმე ომის ვეტერანს გაესაუბრა: **მიხეილ ღლონტი**, ოზურგეთის გვარდიის ოცულის მეთაური: – ოზურგეთის გვარდიას ირაკლი მუჯირი ხელმძღვანელობდა. პირველი ბრძოლები გუმისმთისთან გვექონდა 1992 წლის 18-20 აგვისტოს, ეს იყო უხილავი ბრძოლა, როცა მტერი

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 200-200 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გასვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმბათი აციონზე
«ალიონით»

პატივი მიაგოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას



ამ ომს ჩვენი მრავალი თანამოქალაქის სიცოცხლე შეიწირა, რომელთა შორის იყვნენ ჩონხატაურელი მებრძოლები: **მაშუკა კალანდაძე, ზაზა ცინცაძე, გელა ბელაუსოვი, ვია სინარულიძე, გურამ უჯმაჯურიძე, ნუგზარ კიკვაძე, გონა უნგიაძე, ალბერტ შინოვი, ზურაბ კიკვაძე, ვია ტრაპაიძე, გონა ონიანი, ლექსო ბერაძე.** გურიის მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. ხელმძღვანელმა პირებმა მემორატო საფლავები ყვავილებით შეამკეს და ჩონხატაურის საკათედრო ტაძარში გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრნენ. ომში დაღუპულთა ოჯახებს ჩონხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისგან 500-500 ლარი გადაეცათ.

ლანჩხუთში ოქროსა და ვერცხლის მდგალისანი კურსდამთავრებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ცენტრალურ პარკში, ოქროსა და ვერცხლის მდგალისანი კურსდამთავრებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელსაც გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუმაძე**, გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან **ვასილ ჩიგოვიძესთან**, ლანჩხუთის მერთან **ალექსანდრე სარიშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძესთან ერთად დაესწრო. „გამორჩეული და სასიხარულო დღეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულებისთვის, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი ჯილდო გადაეცათ. ვულოცავ თითოეულ მათგანს, წარმატებებს და დასახული მიზნების მიღწევას ვუსურვებ.“ - აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

ლიხაური-კვაჭალათის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, ლიხაური - კვაჭალათის დამაკავშირებელი გზის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხორ-

ცილდება. სამუშაოების ფარგლებში, ეწყობა 3,50 მეტრი სიგრძის გზა, ეზობში შესასვლელი და სანიაღვრე არხები. პროექტი, რომლის ღირებულება 2 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს, წლის ბოლომდე დასრულდება. აგრეთვე, გზის რეაბილიტაციის გარდა, აქ უკვე დასრულდა წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოებიც. მიმდინარე სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, საკრებულოს წევრებთან, მერთან, **ავთანდილ თალაკვაძესთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ 5 საკითხზე იმსჯელეს



ალიონი. 24 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა. სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ 5 საკითხზე იმსჯელეს. საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი განკარგულების პროექტები: „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“; „საკრებულომ დაამტკიცა აუქციონის წესით საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთი, კერძოდ ქ. ოზურგეთში, გოგებაშვილის ქუჩაზე გასაყიდად 20 კვ. მეტრი, განსაზღვრის ქუჩაზე (ჩიხი №2) 132 კვ.მეტრი, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე 258 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთები. აუქციონის წესით გაიცემა სოფელ ბახვში 184 კვ. მ., სოფელ შრომაში 1125 კვ.მ., სოფელ ცხემლისხილში 16016 კვ.მ., დაბა ლაითურში 1100 კვ.მ, სოფელ შემოქმედში 2634 კვ. მ. მიწის ნაკვეთები. ასევე ტექნიკური შეცდომა გასწორდა „მუნიციპალიტეტის საკუთრ-

ებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტში. აგრეთვე, ცვლილება შევიდა „გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტში. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ნორმატიული აქტის მისაღებად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 5 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტისა და ოზურგეთის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ოზურგეთსა და ლანჩხუთში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 5 პირი დააკავეს. „ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე დაკავებულები არიან, 1971 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ კ.გ. და 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევ კ.გ. „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის“ ფაქტზე კი დაკავებულია 1974 წელს დაბადებული ტ.ფ. ხოლო, „ქურდული სამყაროს წევრისთვის“ მიმართვის ფაქტზე დაკავებული არიან 1981 წელს დაბადებული მ.გ. და 1968 წელს დაბადებული ვ.გ. დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ვ.გ.-სა და მ.გ.-ს შორის მშენებლობასთან

დაკავშირებულ საკითხებზე ფინანსური დავა წარმოიშვა. ბრალდებულებმა დავის მოგვარებისა და გადაჭრის მიზნით „ქურდული სამყაროს“ წევრებს და კრიმინალურ ავტორიტეტებს: ტ.ფ.-ს, გ.გ.-ს და კ.გ.-ს მიმართეს. „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფმა პირებმა ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად მოწყობილ შეკრებაზე, მოდავე მხარეს მთორეს სასარგებლოდ, ერთი თვის ვადაში 15 000 ლარის გადახდა დააკისრეს, რომელიც მ.გ.-მ დათქმულ ვადაში გადაიხდა. აღნიშნული თანხის ნახევარი დავის მოგვარებაში მონაწილე კრიმინალურ ავტორიტეტებზე გადაიხდიდა. პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა, სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალება და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით.

მილოცვა

„ღირსეული მანდილოსანი“

დიდგვაროვანი იმერელი გოგონა, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი და თანაც კარგად აღზრდილი, ცოლად გაჰყვა ოზურგეთელ, ასევე დიდგვაროვან დედისერთა ბიჭს — ელგუჯა აბაშიძეს. ახალმა რძალმა თავისი თვისებებით ყველას შეაყვარა თავი და ამბობდნენ, რომ ყოველმხრივ ღირსეული ქალი დადგებოდა. ასეც მოხდა, იყო ერთგული მეუღლე, სამი შვილის დედა, არის ოთხი შვილიშვილის საოცარი ბებია, ჯერ-ჯერობით ჰყავს ერთი შვილთაშვილი და ამბობს „ეს ჩემი სიცოცხლეა.“



ბევრისგან გამომარჩევდით სიღარბისლით, იცოდა თბილი შეხვედრა და სასიამოვნო საუბარი. იყო საიმედო და ყოველთვის გვერდში მდგომი მეზობელი. უღალატო მეგობარი, ჩინებული დიასახლისი და მასპინძელი.

მას ოზურგეთის საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან წლების მანძილზე რაიონულ სტამბაში მუშაობდა. ითვლ-

ებოდა წარჩინებულ მუშაკად. ეს ქალბატონი, რომელიც ასე დავახასიათებ, სრულიად გადაუჭარბებლად განლაგებული დოლო ყიფიანი-აბაშიძისა, რომელსაც ახლახან 89 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი ჰქონდა ბედნიერი წლები და სიხარული, მაგრამ სიკვდილიანობამ უსაშველოდ გაამწარა. გარდაეცვალა მშობლები, გამოაკლდა დედამამიშვილები, ნაადრევად დაქვრივდა, დაიტირა ორი ვაჟკაცი შვილი, ძვირფასი სიძე და ყვე-

ლაზე დიდი უბედურება იყო მისი მეზუთე შვილიშვილის გარდაცვალება.

ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს, რატომ ხვდა ასეთი ბედი, ასეთ კეთილშობილ და უბოროტო ქალბატონს? — მაგრამ პასუხი ამ კითხვაზე არავის გვაქვს.

შინ თუ გარეთ შავებშია შემოსილი, გული მწუნარებით აქვს სავსე და შვება ეკლესიაში სიარულმა მოუპოვა. ჰყავს მოძღვარი — მამა ერმალოსი, სულიერი დედი და ძმები, რომელთა შორის თითქმის ყველა უხუცესია, ამიტომაც ყველა განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა.

შენ ბევრისთვის ქალბატონი დოლო ბრძანდები, ზოგისთვის დედა, ბევრი ბებიას გემახის, ჩვენთვის კი ძვირფასი დოლო ხარ. ყოველთვის სამაგალითო იყავი და ახლაც ასეთი ხარ.

ღმერთმა მოგვალოცინოს შენ-თვის 100 წლის იუბილე. „ალიონელში“

უბედნიერესი ბებია და უპილიუპილი

ლილი მახარაძე, ოზურგეთელთათვის საკმაოდ ცნობილი ქალბატონი, ჩვენი ერთგული მკითხველი და მეგობარი, 87 წლისაა. წლებადღობის დაბადების დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა მისთვის. უსაყვარლესი შვილიშვილი ლიზი, ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ოქროსმედალოსანი, ასპროცენტრის გრანტი იჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო განყოფილების სტუდენტი გახდა.



ბედნიერი და ამაყი ვარ — ამბობს ლილი, ბედნიერი იმით, რომ ამდენი ხანი ვიცოცხლე და ამას მოვესწარი. ერთდროულად ბედნიერი ვარ და ამაყიც. მინდა მადლობა უუთხრა ჩემი მშობლიური სკოლის დირექტორს, ფატი სიორიძეს, ჩემი ლიზის დამრიგებელს თუ ურუმაძეს, პედაგოგ ნინო ნაცვალაძეს და სხვებს, ვინც წვლილი შეიტანა მის გამარჯვებაში.

ლილი მახარაძე მეუღლესთან გურამ მახარაძესთან ერთად ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. ბატონი გურამი წლების მანძილზე

ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის განყოფილებას, იყო დიდი პროფესიონალი და გულთბილი ადამიანი. ლილიც სხვადასხვა წლებში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. შექმნეს დიდებული ოჯახი. იყვნენ ძალიან ბევრი ნაცნობი და უცნობი ადამიანების თანამდგომები.

„წლები გავიდა, უკვე მოგზუცილი, გადაიფურცლა ყველა ფურცელი, არ შევრცხვნილვარ, ისე ვატარე ქართველი ქალის წმინდა სახელი.“

ეს ლილი მახარაძის სიტყვებია, თვისთვის დაწერილი. ჭეშმარიტად ასეა.

ბოლო ფურცლის გადაფურცვლამდე ვერ მინც ადრეა, ლილი.

ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებ შვილთან, შვილიშვილებთან, უსაყვარლეს რძალთან, ახლობლებთან ერთად.

ჩვენ გვჭირდება ლილი.

მანანა ქილვთარი

სკანვორდი

Scrabble board with a portrait of a man on the left and a grid of letters on the right. The grid contains various words and symbols for a word search puzzle.

პასუხები:

რეაქციონერი, მუხის ჭურჭელი, ქალაქი ფლორიდაში, აქა, მომხიბლავი, საგურნის თანამგზავრი, საოპერო ხმა, რეგიონი საქართველოში, ამერიკული სპორტი, საფოსტო, ფუტკრის სახლი, შთაგონების წყარო, თალითური, ჩოგბურთის, ანტიკური დამპყრობელი, ძაღლის ჯიშში, ჯანსაყმლის ნიმუში მუყაოსგან, მუხის ჭურჭელი, თევზის, სახელმწიფო აბიაში, საგთან დაღებული სანთელი, წარმართული მზის ღმერთი, ისგორიული მხარე, ღორიან, ღვინის ჭურჭელი, ემიგრანტები სხვა სახელმწიფოში, სასტუმროების ქსელი, თიხის ნაკეთობა, კომპომიგორი

